

**ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის  
კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ კვლევის განხორციელება,  
შესაბამისი რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება**

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

**სამუშაო აღწერილობა:**

**1. პროგრამის მოკლე აღწერილობა**

მოდულის სახელწოდება: კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში.

მოდულის მიზანი: საჯარო დაწესებულებები სამხრეთ კავკასიის რეგიონში უკეთ ახორციელებენ ადგილობრივ დონეზე მოქალაქეზე ორიენტირებული სერვისების მიწოდებას.

ძირითადი მოქმედების არეალები:

- ა) სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩო-პირობების გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისათვის.
- ბ) მთავარი აქტორების შესაძლებლობების გაძლიერება მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდებისა და დაფინანსებისთვის.
- გ) მომსახურების მიწოდების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების გაძლიერება.
- დ) რეგიონული განვითარების მიდგომების, ინსტიტუციებისა და ინსტრუმენტების გაძლიერება.
- ე) რეგიონულ დონეზე გამოცდილების გაცვლისა და სწავლების ხელშეწყობა.

პროგრამის ხანგრძლივობა: 01/04/2020 – 31/03/2023

## 2. ზოგადი ინფორმაცია

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში გაუმჯობესდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ითვალისწინებს მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებსა და გარანტიებს. ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხები გათვალისწინებულია სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტში. საქართველოს მთავრობის 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მესამე სტრატეგიული მიზანი ითვალისწინებს სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბებას, რის მისაღწევადაც სხვა ამოცანებთან ერთად გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობა (ამოცანა 3.3.). ამასთან, საქართველოს პარლამენტმა 2019 წელს მოახდინა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა, მიუხედავად საკანონმდებლო და სტრატეგიულ დონეზე საკითხის რეგულირებისა, ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკული მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია.

ადგილობრივი სერვისების მიწოდების პროცესში მონაწილეობის მექანიზმების გაძლიერება წარმოადგენს GIZ-ის პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ პრიორიტეტს. მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით GIZ-ის პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი მოსალოდნელი შედეგია (output indicator 3.1): *ათი მუნიციპალიტეტი პრაქტიკაში ახორციელებს თანამონაწილეობის სულ მცირე ორ მექანიზმს შესაბამისი ხარისხის კრიტერიუმების გათვალისწინებით (მაგ: ბიუჯეტის შემუშავების, განვითარების გეგმების ან საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში). ამასთან, აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით, თანამონაწილეობის პროცედურების მარეგულირებელი დოკუმენტაცია ადგილობრივ დონეზე უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. ხარისხის შემდეგ კრიტერიუმებს:*

- ინკლუზიურობა (მოსახლეობის ყველა ჯგუფის ჩართულობის უზრუნველყოფა)
- გენდერული საკითხების გათვალისწინება
- ონლაინ ხელმისაწვდომობა (განსაკუთრებით, ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებული არელებისთვის)
- ონლაინ მედიასთან წვდომა ან თანამონაწილეობის ალტერნატიული ონლაინ-ფორმის არსებობა
- პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიების არსებობა
- ანგარიშვალდებულების ხელშეწყობი პროცედურების არსებობა.

იმისათვის, რომ აღნიშნული ინდიკატორის მისაღწევად სწორად დაიგეგმოს პროგრამის საქმიანობა, საწყის ეტაპზე საჭიროა მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით არსებული სიტუაციის კვლევა/ანალიზი (ზემოთ ხსენებული კრიტერიუმების გათვალისწინებით), საჭიროებების გამოვლენა, საპილოტე მუნიციპალიტეტების, საპილოტე თანამონაწილეობის მექანიზმების და სავარაუდო ღონისძიებების იდენტიფიცირება.

### 3. საკონსულტაციო მომსახურების მიზანი

- 3.1. ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ კვლევის მომზადება, რომელიც უნდა მოიცავდეს არსებული სიტუაციის აღწერას, ანალიზს და გამოვლენილ საჭიროებებს;
- 3.2. GIZ-ის მოდულის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, თუ როგორ უნდა უპასუხოს მოდულმა არსებულ საჭიროებებს და როგორ უნდა უზრუნველყოს მოსალოდნელი შედეგის (output indicator 3.1) მიღწევა. მათ შორის:
  - თანამონაწილეობის ორი მექანიზმის გამოსავლენად კრიტერიუმების შემუშავება და კრიტერიუმების საფუძველზე იმ ორი მექანიზმის იდენტიფიცირება, რომელთა პრაქტიკულ დონეზე განხორციელებასაც უნდა შეუწყოს ხელი GGLD-იმ;
  - საპილოტე მუნიციპალიტეტების (ჯამში 15 მუნიციპალიტეტი) გამოსავლენად კრიტერიუმების შემუშავება და საპილოტე მუნიციპალიტეტების იდენტიფიცირება, სადაც უნდა განხორციელდეს იდენტიფიცირებული თანამონაწილეობის მექანიზმების პილოტირება;
  - ე.წ. „ხარისხის კრიტერიუმების“ პრაქტიკაში დასანერგად განსახორციელებელი ქმედებების იდენტიფიცირება.

### 4. სამუშაოს მიმდების შესასრულებელი ამოცანები

დაკვეთით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად სამუშაოს მიმდებმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი ამოცანების შესრულება:

- 4.1. კვლევის მეთოდოლოგიისა შემუშავება (რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდების გათვალისწინებით), რომელიც მოიცავს სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ამოცანების მიღწევის მეთოდებს, განხორციელების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით.
- 4.2. კვლევა უნდა პასუხობდეს შემდეგ შინაარსობრივ და სტრუქტურულ მოთხოვნებს:

ზოგადი ინფორმაცია:

- **ქვეყნის შესახებ მოკლე ინფორმაცია:** ადმინისტრაციული მოწყობის მოკლე მიმოხილვა, მუნიციპალიტეტის ფუნქციები, მუნიციპალიტეტების მიმოხილვა სიდიდისა და მოსახლეობის საშუალო რაოდენობის მიხედვით (რა კატეგორიებად იყოფა), მუნიციპალიტეტების საშუალო საბიუჯეტო მონაცემები, სხვა დაკავშირებული მონაცემები.
- **საკანონმდებლო და სტრატეგიული ჩარჩოს მიმოხილვა:** კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმები და გარანტიები ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით; საერთაშორისო და ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
- **საერთაშორისო და ეროვნული შეფასებები და რეიტინგები** მოქალაქეთა თანამონაწილეობის მიმართულებით (მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი (<http://www.lsgindex.org/>), open budget index, civic engagement index, ა.შ.).

ძირითადი ნაწილი:

- **მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკა ადგილობრივ დონეზე:**
  - მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით ადგილობრივ დონეზე არსებული რეგულაციებისა და პრაქტიკის შეფასება, მათ შორის ე.წ. „ხარისხის კრიტერიუმების“ ჭრილში (იხ. ზოგადი ინფორმაცია დაკვეთის შესახებ);
  - ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან გამოჩენილი ინიციატივები მოქალაქეების ჩასართავად და მოქალაქეთა მხრიდან უკუკავშირის ფორმები და მაგალითები;
  - მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან გამოჩენილი ინიციატივები/მაგალითები/პრეცედენტები, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თვითმმართველობის მხრიდან უკუკავშირის ფორმები და მაგალითები;
  - მოქალაქეთა მონაწილეობის წარმატებული მაგალითების მიმოხილვა (განსაკუთრებით, მდგრადობის კუთხით);
  - პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები, გამოწვევები, საჭიროებები და რეკომენდაციები.
- თვითმმართველობების მხრიდან მოსახლეობის ინფორმირებისა და მათთან კომუნიკაციის პრაქტიკა:
  - კომუნიკაციის საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტები ადგილობრივ დონეზე;
  - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების მუშაობის პრაქტიკის მიმოხილვა მოქალაქეთა თანამონაწილეობის კონტექსტში;

- რა ფორმით აწვდის თვითმმართველობა მოსახლეობას ინფორმაციას ამა თუ იმ პროცესის ინიცირების/შედგენის შესახებ და უკუკავშირის რა ფორმებსა და მექანიზმებს იყენებს;
- კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების/ფორმების პრაქტიკის მიმოხილვა (ვებ-გვერდების, ფეისბუქ-გვერდების ფუნქციონირების პრაქტიკა); უკუკავშირის ელექტრონული ფორმების გამოყენების პრაქტიკა;
- ადგილობრივი მედია-საშუალებების შესახებ ინფორმაცია და მუნიციპალიტეტის მხრიდან მათთან თანამშრომლობის პრაქტიკის მიმოხილვა;
- ინფორმირებისა და კომუნიკაციის კუთხით არსებული ხარვეზები, გამოწვევები, საჭიროებები და რეკომენდაციები.
- ჩართულობის ელექტრონული ფორმების/პლატფორმების არსებობის/გამოყენების პრაქტიკა, არსებული ხარვეზები, გამოწვევები, საჭიროებები და რეკომენდაციები.
- **სამოქალაქო საზოგადოებისა/არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და თვითმმართველობებთან თანამშრომლობის პრაქტიკა:**
  - ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხებზე მომუშავე (სპეციალიზირებული) სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი მუშაობის პრაქტიკა (მათ შორის, რეგიონულ/ადგილობრივ დონეზე მომუშავე ორგანიზაციები); მათი მხრიდან წარმოდგენილი ინიციატივების სიხშირე და ხასიათი; წარმოდგენილ ინიციატივებზე თვითმმართველობების მხრიდან უკუკავშირის პრაქტიკა;
  - სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და თვითმმართველობებთან მათი თანამშრომლობის კუთხით არსებული ხარვეზები, გამოწვევები, საჭიროებები და რეკომენდაციები.
- **სამუშაოს მიმღებმა უნდა უზრუნველყოს სამაგიდო კვლევის განხორციელება და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების ორგანიზება.** საკვლევი მუნიციპალიტეტების შერჩევა უნდა მოხდეს წინასწარ შერჩეული კრიტერიუმების საფუძველზე (*რისი გათვალისწინებაც უნდა მოხდეს საწყის ეტაპზე წარმოდგენილ კვლევის მეთოდოლოგიაში*), ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას ქვეყნის მასშტაბით არსებული საერთო მდგომარეობის ასახვა (მინიმუმ თითო მუნიციპალიტეტი თითო რეგიონიდან):
  - სამაგიდო კვლევა (desk study): არსებული რეგულაციების, აქტუალური კვლევების და მნიშვნელოვანი დოკუმენტების შესწავლა;

- სიღრმისეული ინტერვიუები/ფოკუს ჯგუფები ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებთან/წარმომადგენლებთან მოქალაქეთა თანამონაწილეობის კუთხით არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ. მათი მოსაზრებების შეგროვება და გაანალიზება;
  - სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები მოქალაქეებთან. მაქსიმალურად უნდა მოხდეს მოსახლეობის ყველა ჯგუფის წარმოდგენა. *(ამასთან, კვლევამ უნდა მოიცვას ყველა ასაკობრივი ჯგუფი (მათ შორის სკოლის მოსწავლეები და 60 წელს გადაცილებული პირები), ქალთა და მამაკაცთა თანაბარი რაოდენობა, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები.)* ინტერვიუებმა/ფოკუს-ჯგუფებმა უნდა გამოავლინოს მოქალაქეთა დამოკიდებულება თანამონაწილეობის ინსტიტუტისადმი, მათი ცნობიერების დონე, მათი მოთხოვნები ადმინისტრაციის მიმართ, ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის/უკუკავშირის მათთვის სასურველი ფორმები, ა.შ. შედეგად უნდა მოხდეს მოქალაქეთა საჭიროებების გამოვლენა და გაანალიზება;
  - ინტერვიუები/ფოკუს ჯგუფები ადგილობრივ დონეზე მოქმედ არასამთავრობო/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამონაწილეობის სფეროში არსებული საჭიროებების შესახებ მათი მოსაზრებების შეგროვებისა და გაანალიზების მიზნით; შედეგად უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების/არასამთავრობო ორგანიზაციების საჭიროებების გამოვლენა და გაანალიზება.
- იმ სახელმწიფო პროგრამების ან ფონდების შესახებ მონაცემები შეგროვება, გაანალიზება და შეფასება, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი/რეგიონული განვითარებისკენ და სადაც მოქალაქეთა ჩართულობა მნიშვნელოვანია *(სხვადასხვა პროგრამებსა თუ ფონდებში მოქალაქეთა მონაწილეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები მიმოხილვა);*
  - კვლევის მიგნებების/შედეგების საფუძველზე ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა თანამონაწილეობის სფეროში არსებული სიტუაციის ასახვის მიზნით **SWOT ანალიზი შემუშავება** და წარმოდგენა.
  - ამასთან, დანართის სახით კვლევა უნდა მოიცავდეს:
    - ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით არსებული პრაქტიკული სახელმძღვანელოების/გაიდლაინებისა და კვლევების შესახებ ინფორმაცია (ცხრილის სახით);
    - ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის სფეროში მომუშავე საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების მიმოხილვა (რომელი

ორგანიზაცია რა მიმართულებით მუშაობს და სად). სასურველია, იყოს ცხრილის სახით.

4.3. არსებული სიტუაციის ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სამუშაოს მიმღებმა უნდა შეიმუშავოს და წარმოადგინოს რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე:

- რეკომენდაციები ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა თანამონაწილეობის პრაქტიკის გაუმჯობესების მიმართულებით (პროცესები, სტრუქტურული ჩარჩო, მარეგულირებელი დოკუმენტები, ხარისხის კრიტერიუმების გათვალისწინება, კომუნიკაცია, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების, მოქალაქეების გააქტიურების/ჩართულობის საშუალებები, სხვა მნიშვნელოვანი საკითხები);
- რეკომენდაციები თანამონაწილეობის პროცესის მონაწილე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის (*თვითმმართველობის წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების/არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები (მათ შორის ახალგაზრდები)*) შესაძლებლობების განვითარების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების მიმართულებით (*მათ შორის, ტრენინგების თემატიკის იდენტიფიცირება თითოეული ჯგუფისთვის*);
- რეკომენდაციები სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებსა თუ ფონდებში მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ;

ამასთან, სამუშაოს მიმღებმა უნდა უზრუნველყოს:

- GGLD-ის ფარგლებში საპილოტედ თანამონაწილეობის ორი მექანიზმის შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება და მექანიზმების იდენტიფიცირება;
- GGLD-ის ფარგლებში საპილოტე მუნიციპალიტეტის შესარჩევად კრიტერიუმების შემუშავება და 15 მუნიციპალიტეტის იდენტიფიცირება;
- შერჩეულ საპილოტე მუნიციპალიტეტებში შერჩეული ორი თანამონაწილეობის მექანიზმის დასაწერად განსახორციელებელი ღონისძიებების იდენტიფიცირება;
- ადგილობრივ რეგულაციებსა და პრაქტიკაში ე.წ. „ხარისხის კრიტერიუმების“ გათვალისწინების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება - რომელი ხარისხის კრიტერიუმი როგორ შეიძლება აისახოს რეგულაციებში და როგორ უნდა მოხდეს პრაქტიკაში მათი განხორციელება.
- პროგრამისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავება ინდიკატორით (output indicator 3.1.) გათვალისწინებული შედეგის მისაღწევად.

## 5. მომსახურების ვადები და ანგარიშგება

- 5.1. სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით საბოლოო ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს **არაუგვიანეს 30.11.2020-ისა**.
- 5.2. კვლევა და რეკომენდაციები წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთ დოკუმენტად სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული სტრუქტურის შესაბამისად.
- 5.3. კვლევის დოკუმენტის წარმოდგენა უნდა მოხდეს ქართულ ენაზე; ამასთან, კვლევის მიგნებების და რეკომენდაციების ნაწილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ასევე ინგლისურ ენაზეც.

## 6. სხვა პირობები

სამუშაოს მიმღები დაკვეთის განხორციელებისას ვალდებულია დამკვეთს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია მიღებული შედეგების შესახებ და ყველა ღონისძიება შეათანხმოს GIZ-თან.

**სამუშაო შესრულების სავარაუდო პერიოდი:**

**სამუშაოს დაწყება: 26.07.2020**

**სამუშაოს დასრულება 30.11.2020**

**განაცხადების მიღება და შერჩევა**

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორის შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO), საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

GIZ იტოვებს უფლებას, შეამოწმოს განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია. არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმდება.

**განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:**

1. ორგანიზაციის გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოქალაქეთა თანამონაწილეობის სფეროში მსგავსი პროექტების/კვლევების განხორციელების კუთხით, რაც უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი შემოთავაზებით;
2. შემოთავაზება დეტალურად უნდა აღწერდეს ორგანიზაციის მიერ სამუშაოს დაგეგმვისა და სამუშაოთ აღწერილობით გათვალისწინებული მიზნებისა და კონკრეტული ამოცანების მიღწევის გზებს, პროექტის განხორციელების მეთოდოლოგიას და აქტივობების განხორციელების განრიგს;
3. პროექტის განხორციელების გეგმა, ამოცანების მიხედვით განაწილებული სამუშაო დღეების რაოდენობის ჩათვლით;
4. წარმოდგენილი ექსპერტების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოქალაქეთა თანამონაწილეობის სფეროში მსგავსი კვლევების/პროექტების განხორციელების კუთხით, რაც უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი რეზიუმეებით (CV-ებით).
5. ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა.

*შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით უფრო დეტალურად იხ. თანდართული შეფასების სქემა.*

### **მომსახურების ხანგრძლივობა და ბიუჯეტი**

მომსახურების განხორციელების სავარაუდო პერიოდია **26.07.2020 – 30.11.2020.**

წარმოდგენილი ბიუჯეტი არ უნდა **აღემატებოდეს 70 000 ლარს** და არ უნდა შეიცავდეს დღგ-ს.

შერჩეულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, მომსახურების დაფინანსება მოხდება ეტაპობრივად.

განაცხადის მომზადება უნდა მოხდეს ინგლისურ და ქართულ ენებზე.

**შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას (შემოთავაზებული სტრუქტურა არის სარეკომენდაციო ხასიათის):**

#### **1. თავფურცელი**

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.

#### **2. პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)**

2.1 პროექტის აღწერა

2.2. პროექტის მიზნები და ამოცანები, მათი განხორციელების მეთოდოლოგია (შესაბამისობაში უნდა იყოს სატენდერო განაცხადში მოცემულ სამუშაო აღწერილობასთან)

2.3 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი

#	ღონისძიება	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	კომენტარი
1	X						[მიუთითეთ საჭიროებისა მებრ]
2	Y						
3	Z						
..	...						
.							

2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები

ჩამოთვალეთ იმ პირების ვინაობა და ფუნქცია ვინც მოიაზრება პროექტის განხორციელებაში და ასახულია შესაბამისად ბიუჯეტში.

2.5. დანართი

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები (CV-ები) და მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ.

დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.

ფინანსური შემოთავაზება უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:

ბიუჯეტი (ლარში, დღგ-ს გარეშე)

#	კატეგორია	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი (GEL)	საერთო ღირებულება (GEL)	განმარტება
1	შრომის ანაზღაურება					
1.1		[თვე ან კაც-დღე]				
1.2						
1.3						
	...					
	<b>ჯამი</b>					
2	სხვა ხარჯი					
2.1	ტრანსპორტის ხარჯი					
2.2	ღამისთევის ხარჯი					
2.3	სასტუმროს (შეხვედრების) ხარჯი და ქეთერინგი					
2.4	დღიური თანხა პერდიემი	15 ლარი/დღე				
2.5	...					
	<b>ჯამი</b>					
	<b>სულ ჯამი</b>					

\*მითითებული თანხა უნდა მოიცავდეს სამემოსავლო გადასახადისა და საკენსიო შენატანის ხარჯებს.

ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის ხარჯები, რაც არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასევე, არ ანაზღაურდება ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები და მისი რაიმე სახის დავალიანების გასტუმრება.